



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ხეცურიანი ჯონი გრიგოლის ძე



ჯ. ხეცურიანი

ხეცურიანი ჯონი გრიგოლის ძე (დ. 23. XI. 1951, სოფ. ლაილაში, ახლანდ. ცაგერის მუნიციპალიტეტი), იურისტი, ეკონომისტი. საქართველო. მეცნიერ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (2013; წ.-კორ. 2001). იურიდ. მეცნი. დოქტორი (1994), პროფესორი (1999), საკავშირ. ახალგაზრდული პრემიის ლაურეატი მეცნი. დარგში (1982). დაამთავრა თსუ-ის იურიდ. (1973) და ეკონ. (1988) ფაკულტეტი. იყო საქართველო. მეცნიერ. აკადემიის ეკონ. და სამართლის ინ-ტის უმცროსი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მართვის სამართლებრივი პრობლემების ლაბორატორიის ხელმძღვანელი; საქართველო.

მეცნიერ. აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე სამეცნიერ. დარგში (1976-89); საქართველო. იუსტიციის მინისტრი (1990-92; 1999-2000); საქართველო. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი (1993-95; 2016-17); საქართველო. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი (1995-99; 2000-01) და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე (2001-06), მოსამართლე (2006-11); თსუ-ის იურიდ. ფაკულტეტის დოცენტი, პროფესორი (1999-2005); საქართველო. დავით აღმაშენებლის სახ. უნი-ტის იურიდ. ფაკულტეტის სრული პროფესორი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე (2011-16); საქართველო. ეროვნ. უშიშროების, იუსტიციის, პრეზიდენტთან არსებული საკონსულტაციო ეკონ. საბჭოების (1999-2000) და ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის წევრი (2003-07).

ბ. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა (მ. შ. 10 მონოგრაფიისა), რ-ებიც ეძღვნება სამოქალაქო, საკონსტიტუციო და სისხლის სამართლის პრობლემებს. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია ქართ., რუს., ინგლ. და გერმ. ენებზე. საბჭ. პერიოდში, კერძოდ 1979, მან პირველმა გამოაქვეყნა წერილი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. აქტიურად მონაწილეობდა 1989 წ. 9 აპრილს თბილისში საბჭ. ჯარის მიერ მშვიდობიანი მიტინგის აღკვეთისას მომხდარი ტრაგედიის გამოძიებაში. იყო საქართვე. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის (1991), საქართვე. კონსტიტუციის (1995), სამოქალაქო კოდექსის (1997), კონსტიტუციური შეთანხმების (2002), სახელმწ. ენის შესახებ კანონის (2015) პროექტების ერთ-ერთი ავტორი, საქართვე. სამოქალაქო კოდექსის კომენტარის თანაავტორი და ერთ-ერთი რედაქტორი (1999-2001). მინიჭებული აქვს იუსტიციის მთავარი სახელმწ. მრჩევლის სპეციალური წოდება (1999) და უმაღლ. საკვალიფიკაციო კლასის მოსამართლის საკლასო ჩინი. (2001). მიღებული აქვს საქართვე. მეცნ. ეროვნ. აკადემიის თ. წერეთლის სახ. პრემიით (2011) და საქართვე. ეკლესიის უმაღლ. ჯილდოთი - წმ. გიორგის ოქროს ორდენი (2014).

თბზ.: სამოქალაქო სამართლის ფუნქციები, თბ., 1995; სიკვდილით დასჯა, არგუმენტები და ფაქტები, თბ., 1997; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, ხუთ ტომად, თბ., 1999-2001 (თანაავტ.); დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ, თბ., 2006; ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში, თბ., 2011; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბ., 2020 (მეორე გამოცემა; რჩეული შრომები, თბ., 2021.

ი. უჭმაჭურიძე
